

დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ
27 მაისი 2024 წელი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

კრისტინა გაგარკინა

სააქციო საზოგადოება

მეტრო ეიფორია ჰოტელ ბათუმი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

აუდიტის კომიტეტის შესახებ

ბათუმი

1. აუდიტის კომიტეტის დანიშნულება და მიზანი

აუდიტის კომიტეტს აქვს განსაკუთრებული როლი დაადასტუროს, რომ უზრუნველყოფილია აქციონერთა ინტერესების დაცვა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და შიდა კონტროლის მხრივ. აუდიტის კომიტეტმა უნდა შეასრულოს ეს ფუნქცია დირექტორებისგან დამოუკიდებლად.

სამეთვალყურეო საბჭომ დეტალურად უნდა განიხილოს აუდიტის კომიტეტის მუშაობის პირობები და მოთხოვნები, რომელიც საუკეთესოდ მიუდგება მის განსაკუთრებულ სიტუაციას. აუდიტის კომიტეტის მუშაობის პირობები და მოთხოვნები მისი ამოცანების პროპორციული უნდა იყოს, და შეიცვლება კომპანიის მოცულობის, მისი სტრუქტურის და საქმიანობის სირთულისა და რისკის პროფილის მიხედვით.

აუდიტის კომიტეტის ძირითადი დანიშნულება და ვალდებულებები:

- წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშგება წლიური და ნახევარწლიური ანგარიშგების დამტკიცების პერიოდის შესაბამისად;
- განსაზღვროს შიდა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკა;
- გააკონტროლოს კომპანიის ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების სამართლიანობა. განახორციელოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების პროცესის ზედამხედველობა;
- განახორციელოს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების (მათ შორის დამოუკიდებლობის შესახებ ნორმების) დაცვის ზედამხედველობა;
- განიხილოს და გააკონტროლოს გარე აუდიტორის დამოუკიდებლობა, ობიექტურობა და ეფექტურობა, აქტიურად ითანამშრომლოს გარე აუდიტორთან;
- გამოთქვას მოსაზრება გარე აუდიტორთა კანდიდატურებთან დაკავშირებით, წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერებს/პარტნიორებს მათ კანდიდატურებთან, დანიშვნასთან ანაზღაურებასთან ან გათავისუფლებასთან დაკავშირებით.
- უზრუნველყოს შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობა, დამოუკიდებლობა და ეფექტური ურთიერთთანამშრომლობა;
- ხარისხის კონტროლის, რისკების მართვისა და საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ ფარგლებში განიხილოს და გააკონტროლოს კომპანიის შიდა აუდიტის ეფექტურობა და შეიმუშაოს სათანადო რეკომენდაციები, აქტიურად ითანამშრომლოს შიდა აუდიტთან;
- განიხილოს გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილი და მონიტორინგი გაუწიოს დირექტორების მიერ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით შესაბამისი ზომების გატარებას;
- განიხილოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს შიდა აუდიტორული შემოწმების წლიური/კვარტალური პროგრამა;
- მიიღოს შიდა აუდიტის ანგარიშგებები (აუდიტის დასკვნები) და უზრუნველყოს საწარმოს დირექტორების მხრიდან სათანადო ღონისძიებების დროულად გატარება, აუდიტის პროცესში ან კონტროლის სხვა ფუნქციების მიერ იდენტიფიცირებული კონტროლის სისუსტეების, კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

- მონიტორინგი გაუწიოს საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას;
- განიხილოს საწარმოს რისკების მართვის მთლიანი ჩარჩო და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობა და სტრუქტურა, მათ შორის, განიხილოს მესამე პირთა მოსაზრებები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

2. აუდიტის კომიტეტის დანიშნულება და ვალდებულებები

ა) ფინანსური ანგარიშგების მომზადება

აუდიტის კომიტეტმა უნდა შეაფასოს, მიიღო თუ არა კომპანიამ შესაბამისი ბუღალტრული პოლიტიკა და დაადასტუროს, რომ მისი ანგარიშგების მომზადების პრაქტიკის დონე შესაფერისია. თავისი დასკვნისა და რეკომენდაციების შემუშავებისას სასურველია, რომ აუდიტის კომიტეტის წევრებმა გაითვალისწინონ გარე აუდიტორის აზრი და შენიშვნები კომპანიის ფინანსური საკითხების მიმართ.

იმ შემთხვევაში, თუ აუდიტის კომიტეტი უკმაყოფილოა ფინანსური ანგარიშგების მომზადების სხვადასხვა საკითხებით, აღმოჩენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში ჩააბაროს სამეთვალყურეო საბჭოს.

სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია დაამტკიცოს წლიური (ნახევარწლიური) ფინანსური ანგარიშგება. სასურველია, რომ აუდიტის კომიტეტმა წინასწარ განიხილოს ეს ანგარიშები და თავისი მოსაზრებები და რეკომენდაციები წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს.

ბ) შიდა აუდიტი

აუდიტის კომიტეტმა უნდა გააკონტროლოს კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის ობიექტურობა. აუდიტის კომიტეტმა უნდა შეაფასოს მმართველობის მიერ მომზადებული ანგარიშები შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ და, აგრეთვე, შიდა ან/და გარე აუდიტორის შიდა კონტროლის შედეგები. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აუდიტის კომიტეტმა უნდა შეიმუშაოს კომენტარები და რეკომენდაციები.

აუდიტის კომიტეტმა უნდა გააკონტროლოს და განიხილოს შიდა აუდიტის საქმიანობა მუდმივ საფუძველზე სულ მცირე, წელიწადში ერთხელ. აუდიტის კომიტეტმა უნდა დაადასტუროს, რომ შიდა აუდიტს აქვს საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსი, შეუზღუდავი მისაღვომი ინფორმაციისადმი და საბუთებისადმი, რაც საჭიროა მისი ამოცანების სათანადო დონეზე გადაწყვეტისთვის. აგრეთვე აუდიტის კომიტეტმა უნდა დაადასტუროს, რომ შიდა აუდიტი საკმარისად კვალიფიცირებულია, რათა შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები შიდა აუდიტორული პროფესიული სტანდარტების შესაბამისად.

გ) გარე აუდიტი

აუდიტის კომიტეტის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა გარე აუდიტორის შერჩევა. საქართველოს კანონმდებლობის და წესდების თანახმად, აუდიტორის კანდიდატურა დამტკიცებული უნდა იყოს საერთო კრების მიერ. აუდიტის კომიტეტმა გარე აუდიტორის თაობაზე უნდა წარუდგინოს თავისი რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს. აუდიტის კომიტეტმა უნდა გასცეს რეკომენდაცია გარე აუდიტორის თანამშრომლობის პირობებსა და მის მიერ გაწეული აუდიტორული მომსახურების ანაზღაურებასთან დაკავშირებით. გარე აუდიტორის მომსახურების მოცულობა წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული აუდიტის დაწყებამდე აუდიტის კომიტეტის წევრებთან და მათთან ერთად აუდიტორულ პროცესში ნებისმიერი მომხდარი ცვლილება შემდგომში გარჩეული უნდა იყოს.

აუდიტის კომიტეტმა გულმოდგინედ უნდა შეისწავლოს გარე აუდიტორის კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება, სათანადო რესურსების არსებობა, ეფექტურობა და დამოუკიდებლობა. ასეთი შესწავლა უნდა ტარდებოდეს ყოველწლიურად. იმ შემთხვევაში, თუ გარე აუდიტორი კომპანიასთან წყვეტს თანამშრომლობას, აუდიტის კომიტეტის წევრებმა უნდა გაარკვიონ ამის მიზეზები. გარე აუდიტორს უნდა ჰქონდეს უფლება პირდაპირ დაუკავშირდეს აუდიტის კომიტეტს სხვადასხვა საკითხების გადასაწყვეტად კომპანიის დირექტორების ჩარევის გარეშე.

აუდიტის კომიტეტმა უნდა შეიმუშაოს და წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გარე აუდიტორის მიერ გაწეული არააუდიტორული მომსახურების კომპანიის პოლიტიკის შესახებ. ასეთი პოლიტიკის ძირითადი მიზანია დარწმუნება იმაში, რომ გარე აუდიტორის არააუდიტორული მომსახურების მიწოდება უარყოფითად არ მოქმედებს მის ობიექტურობაზე. აუდიტის კომიტეტმა უნდა გაითვალისწინოს აუდიტორის პროფესიული კვალიფიკაცია არააუდიტორულ სფეროში; გამოავლინოს, გააჩნია თუ არა აუდიტორს სათანადო ადამიანური და ტექნიკური რესურსები საჭირო დროს; დარწმუნდეს, რომ აუდიტორი არ არის მნიშვნელოვნად დამოკიდებული კომპანიის მიერ გადახდილ აუდიტორულ ანაზღაურებაზე.

აუდიტის კომიტეტმა უნდა განიხილოს გარე აუდიტორთან ერთად მის მიერ გამოვლენილი ნაკლოვანებები კერძოდ, გარე აუდიტორის მიერ მომზადებული ანგარიში დირექტორებისთვის. აუდიტორული კომიტეტის ამოცანაა დარწმუნდეს, რომ ანგარიში დირექტორებისთვის შეიცავს ყველა ძირითად საკითხს და დირექტორები მზად არიან გადაწყვიტონ ის პრობლემები, რომელიც გამოავლინა გარე აუდიტორმა.

3. აუდიტის კომიტეტის შემადგენლობა

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტი შედგება სამეთვალყურეო საბჭოს არანაკლებ 3 (სამი) წევრისგან, რომელთაგან სულ მცირე 1 (ერთი) წევრი უნდა იყოს დამოუკიდებელი წევრი. მათგან არანაკლებ 1 (ერთი) წევრი უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვის ან/და აუდიტის სფეროში კომპეტენტური პირი.

სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად მიიჩნევა პირი, რომელიც საზოგადოებასთან სამართლებრივად ან/და ეკონომიკურად დაკავშირებული არ არის, მათ შორის, არ ფლობს ამ

საზოგადოების აქციებს, არ განიცდის აღნიშნული საზოგადოების ან სხვა, გარე მხარის გავლენას, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს საქმიანობის განხორციელებისას ობიექტური და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებაში, აგრეთვე არ იღებს ამ საზოგადოებისგან ანაზღაურებას ან სხვა ეკონომიკურ სარგებელს, გარდა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისთვის ან/და საზოგადოების აუდიტის კომიტეტის წევრობისთვის დადგენილი ანაზღაურებისა.

ყველა წევრს უნდა გააჩნდეს კარგი ანალიტიკური აზროვნება, დირექტორებისგან დამოუკიდებლობა და კომპანიის კორპორაციული მართვის სტრუქტურაში კომიტეტის მნიშვნელოვანი როლის გააზრება.

აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეს აუდიტის კომიტეტის წევრთაგან ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭომ აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარედ უნდა აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, რომელიც იმავდროულად არ შეიძლება იყოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს ობიექტური და შეეძლოს განავითაროს ეფექტური სამუშაო ურთიერთობები – კომიტეტის წევრების, დირექტორებსა და შიდა და გარე აუდიტთა შორის. კომიტეტში წახალისებული უნდა იყოს ობიექტურობა და არსებობდეს ჯანსაღი დისკუსიისთვის საჭირო გარემო.

4. სხდომები/შეხვედრები

თავისი მოვალეობების ეფექტური შესრულების მიზნით აუდიტის კომიტეტი პერიოდულად უნდა ატარებდეს სხდომებს/შეხვედრებს. აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარემ სხვა წევრებთან კონსულტაციებით უნდა ადგენდეს სხდომების/შეხვედრების სიხშირესა და დროს. უნდა ჩატარდეს იმდენი სხდომა/შეხვედრა, რამდენიც საჭიროა კომიტეტის ეფექტური საქმიანობისთვის. მაგრამ აუცილებელია ჩატარება არანაკლებ ორი სხდომის/შეხვედრის წელიწადში. როგორც წესი, აუდიტის კომიტეტი უთავსებს თავის სხდომებს/შეხვედრებს ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტორულ ციკლს. მაგრამ, რადგან კომიტეტის მოვალეობებში სხვა ამოცანებიც (რისკების მართვა, შიდა კონტროლის საკითხები და სხვა) შედის, რეკომენდირებულია დამატებითი სპეციალური სხდომების/შეხვედრების ჩატარება, სადაც კომიტეტის წევრებს ექნებათ საკმარისი დრო ამ მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად.

ჩვეულებრივად, მხოლოდ აუდიტის კომიტეტის წევრებისთვის დაშვებულია ამ სხდომებში/შეხვედრებში მონაწილეობა, მაგრამ, როგორც წესი, შიდა აუდიტი ესწრება აუდიტორული კომიტეტის სხდომებს/შეხვედრებს. რადგან დირექტორები პასუხს აგებენ ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, ჩვეულებად უნდა იქცეს კომპანიის ფინანსური სპეციალისტებისთვის ზოგიერთი სხდომის/შეხვედრის დასწრება ზუსტად იმ ნაწილში, როდესაც კომიტეტის წევრები იხილავენ მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებს. მაგრამ მკაცრად რეკომენდირებულია, რომ მხოლოდ აუდიტის კომიტეტი წყვეტს, არის თუ არა მოსაწვევი არა-წევრები რომელიმე სხდომაზე/შეხვედრაზე.

აუდიტის კომიტეტის წევრები ცალკე უნდა შეხვდნენ შიდა და გარე აუდიტებს. ეს საჭიროა იმისთვის, რომ კომიტეტი სრულად იყოს გათვითცნობიერებული კომპანიის ფინანსურ და

ბიზნეს მდგომარეობაში, რაც კომიტეტის მოვალეობების ეფექტური შესრულებისთვის აუცილებელია.

5. რესურსები

საუკეთესო პრაქტიკა მოითხოვს აუდიტის კომიტეტის უზრუნველყოფას შესაბამისი რესურსებით, რომლებიც აუცილებელია მისი მოვალეობების შესასრულებლად. კომიტეტის წევრებს უნდა ჰქონდეთ შეუზღუდავი მისადგომი კომპანიის ნებისმიერ შიდა ინფორმაციისადმი და დოკუმენტებისადმი, რაც მათ დასჭირდებათ თავისი მოვალეობის შესასრულებლად და მიზნების მისაღწევად. აუდიტის კომიტეტის წევრებს მუდმივად უნდა ჰქონდეთ სრული წდომა დირექტორების, შიდა აუდიტისა და რისკების მართვის ფუნქციებთან.

კომპანიამ ასევე უნდა უზრუნველყოს კომიტეტის ადმინისტრაციული ხელშეწყობა – ამისთვის მნიშვნელოვანია სამეთვალყურეო საბჭომ დანიშნოს კორპორაციული მდივანი, კორპორაციული მდივნის ძირითადი მოვალეობაა შემდეგი: დარწმუნდეს, რომ აუდიტის კომიტეტი დროულად მიიღებს ყველა საჭირო ინფორმაციასა და საბუთებს, კოორდინაცია გაუწიოს კომუნიკაციის პროცესს კომპანიის დირექტორებს და თანამშრომლებს შორის.

სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს აუდიტის კომიტეტი ფინანსური ფონდებით (სახსრებით), რათა მათ მიეცეთ საშუალება მიიღონ იურიდიული, ფინანსური, ბუღალტრული და სხვა რჩევები, თუ ამის აუცილებლობა გამოჩნდა. მკაცრად რეკომენდირებულია აუდიტის კომიტეტს ჰქონდეს უფლება დაიქირავოს გარე კონსულტანტი პირადი შეხედულებით სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით.

Denetleme Kurulu tarafından onaylandı
27 Mayıs 2024
Denetim Kurulu Başkanı

Kristina Gagarkina

anonim şirket

Metro Euphoria Otel Batum

Karşılık

Denetim Komitesi Hakkında

Batum

1. Denetim komitesinin amacı ve amacı

Denetim komitesinin, mali tabloların hazırlanması ve iç kontrol açısından pay sahiplerinin çıkarlarının korunduğunu teyit etme konusunda özel bir rolü vardır. Denetim komitesi bu işlevi direktörlerden bağımsız olarak yerine getirmelidir.

Denetim Kurulu, denetim komitesinin kendi özel durumuna en uygun çalışma şartlarını ve gerekliliklerini ayrıntılı olarak değerlendirmelidir. Denetim komitesinin çalışma koşulları ve gereksinimleri, görevleriyle orantılı olmalıdır ve şirketin büyüklüğüne, yapısına, faaliyetlerinin karmaşıklığı ve risk profiline bağlı olarak değişecektir.

Denetim komitesinin temel amaç ve görevleri:

- yıllık ve altı aylık raporların onay süresine uygun olarak raporu Denetim Kuruluna sunmak;
- İç denetim ve mali raporlama politikasını belirlemek;
- Şirketin mali ve mali olmayan raporlamasının adilliğini kontrol etmek. mali tablo denetimi sürecini denetlemek;
- denetçi/denetim firması tarafından Gürcistan kanununun "muhasabe, raporlama ve denetime ilişkin" (bağımsızlık normları dahil) gerekliliklerine uygunluğunun denetlenmesini yürütmek;
- Dış denetçinin bağımsızlığını, objektifliğini ve etkinliğini gözden geçirmek ve kontrol etmek, dış denetçiyle aktif işbirliği yapmak;
- Dış denetçilerin adaylıkları hakkında görüş bildirmek, Denetim Kuruluna veya hissedarlara/ortaklara adaylıkları, atanmaları, ücretlendirmeleri veya görevden alınmaları konusunda uygun tavsiyelerde bulunmak.
- iç ve dış denetçilerin fonksiyonlarının yeterliliğini, bağımsızlığını ve etkin işbirliğini sağlamak;
- Kalite Kontrol, Risk Yönetimi ve Topluluk Denetleme Kurulu'nun belirlediği sınırlar dahilinde, şirketin iç denetiminin etkinliğini kontrol etmeyi ve uygun öneriler geliştirmeyi gözetir, iç denetimle aktif işbirliği yapar;
- Dış denetçi tarafından hazırlanan tavsiye mektubunu incelemek ve eksikliklerin düzeltilmesi için yöneticiler tarafından uygun önlemlerin alınmasını izlemek;
- Yıllık/üç aylık iç denetim programını gözden geçirerek Denetim Kurulu'nun onayına sunmak;
- iç denetim raporlarını (denetim sonuçlarını) almak ve kontrol zayıflıklarını, mevzuata uyumsuzluğu veya denetim süreci sırasında veya diğer kontrol fonksiyonları tarafından tespit edilen diğer eksiklikleri ortadan kaldırmak için işletmenin yöneticileri tarafından uygun önlemlerin zamanında uygulanmasını sağlamak;
- İşletmenin muhasabe politikaları ve uygulamalarının oluşturulmasını izlemek;
- Bahsi geçen konulara ilişkin üçüncü tarafların görüşlerini de dikkate alarak, genel kurumsal risk yönetimi çerçevesini ve iç kontrol sistemlerinin etkinliğini ve yapısını gözden geçirmek.

2. Denetim komitesinin amacı ve görevleri

a) mali tabloların hazırlanması

Denetim komitesi, şirketin uygun muhasebe politikaları benimseyip benimsemediğini değerlendirmeli ve raporlama uygulamalarının düzeyinin uygun olduğunu doğrulamalıdır. Denetim komitesi üyelerinin, sonuç ve önerilerini geliştirirken, dış denetçinin şirketin mali sorunlarına ilişkin görüş ve yorumlarını dikkate alması arzu edilir.

Denetim komitesinin mali tabloların hazırlanmasına ilişkin çeşitli hususlardan memnun olmaması durumunda, tespit edilen eksiklikler hakkında Denetim Kuruluna bir rapor sunacaktır.

Denetim Kurulu yıllık (altı aylık) mali tabloları onaylamakla yükümlüdür. Denetim Komitesi'nin bu raporları önceden inceleyerek görüş ve önerilerini Denetim Kurulu'na sunması arzu edilir.

b) İç denetim

Denetim komitesi şirketin iç kontrol sisteminin objektifliğini izlemelidir. Denetim komitesi, iç kontrolün etkinliğine ilişkin yönetim tarafından hazırlanan raporları ve ayrıca iç ve/veya dış denetçinin iç kontrol sonuçlarını değerlendirmek zorundadır. Alınan bilgilere dayanarak denetim komitesi yorum ve öneriler geliştirmelidir.

Denetim komitesi, iç denetim faaliyetlerini sürekli olarak yılda en az bir kez izlemeli ve gözden geçirmelidir. Denetim komitesi, iç denetimin yeterli insan ve mali kaynaklara sahip olduğunu, görevlerini uygun düzeyde çözmek için gerekli bilgi ve belgelere sınırsız erişime sahip olduğunu doğrulamalıdır. Ayrıca denetim komitesi, iç denetçinin, iç denetim mesleki standartlarına uygun olarak kendisine verilen yükümlülükleri yerine getirebilecek yeterliliğe sahip olduğunu doğrulamalıdır.

c) dış denetim

Denetim komitesinin temel görevlerinden biri dış denetçiyi seçmektir. Gürcistan mevzuatı ve tüzüğüne göre denetçinin adaylığının genel kurul tarafından onaylanması gerekiyor. Denetim komitesi, dış denetçiye ilişkin önerilerini denetim kuruluna sunar. Denetim komitesi, dış denetçinin işbirliği şartları ve sağladığı denetim hizmetlerinin ücreti konusunda öneride bulunmalıdır. Dış denetçi hizmetlerinin kapsamı, denetim başlamadan önce denetim komitesi üyeleriyle önceden kararlaştırılmalı ve denetim sürecindeki değişiklikler daha sonra ayırt edilmelidir.

Denetim komitesi, dış denetçinin niteliklerini, mesleki deneyimini, uygun kaynakların kullanılabilirliğini, verimliliğini ve bağımsızlığını dikkatle değerlendirmelidir. Böyle bir çalışma her yıl yapılmalıdır. Dış denetçinin şirketle işbirliğini sona erdirmesi durumunda denetim komitesi üyelerinin bunun nedenlerini öğrenmesi gerekir. Dış denetçi, çeşitli sorunları şirket yöneticilerinin katılımı olmadan çözmek için denetim komitesiyle doğrudan iletişim kurma hakkına sahip olmalıdır.

Denetim Komitesi, Şirketin dış denetçi tarafından sağlanan denetim dışı hizmetlere ilişkin politikasına ilişkin öneriler geliştirecek ve Denetim Kuruluna sunacaktır. Böyle bir politikanın temel amacı, dış denetçi tarafından denetim dışı hizmetlerin sağlanmasının, dış denetçinin objektifliğini olumsuz etkilememesini sağlamaktır. Denetim komitesi, denetçinin denetim dışı alandaki mesleki niteliklerini dikkate almalıdır; denetçinin doğru zamanda uygun insan ve teknik kaynaklara sahip olup olmadığını

ortaya çıkarmak; Denetçinin şirket tarafından ödenen denetim ücretine önemli ölçüde bağımlı olmadığından emin olun.

Denetim komitesi, kendisi tarafından tespit edilen eksiklikleri, özellikle de dış denetçinin yöneticiler için hazırladığı raporu, dış denetçiyle tartışmalıdır. Denetim komitesinin rolü, yöneticilere sunulan raporun tüm önemli konuları kapsamasını ve yöneticilerin, dış denetçi tarafından belirlenen sorunları ele almaya hazır olmasını sağlamaktır.

3. Denetim komitesinin oluşumu

Dernek Denetleme Kurulu Denetim Komitesi, en az 1 (bir) üyesinin bağımsız üye olması şartıyla, Denetim Kurulunun en az 3 (üç) üyesinden oluşur. En az 1 (bir) üyesinin muhasebe ve/veya denetim alanında yetkin kişi olması gerekir.

Bağımsız Denetim Kurulu üyesi, bu şirketin hisselerine sahip olmayanlar da dahil olmak üzere, şirketle hukuki ve/veya ekonomik olarak ilişkisi olmayan, adı geçen şirketin veya şirket dışından herhangi bir tarafın etkisinden zarar görmeyen bir kişi olarak kabul edilir. Faaliyetlerin yerine getirilmesi sırasında objektif ve bağımsız kararların alınmasına müdahale edebilir, ayrıca bu dernekten, derneğin denetim kurulu üyeliği ve/veya derneğin yönetim kurulu üyeliği için belirlenen ücret dışında herhangi bir ücret veya başka bir ekonomik menfaat almaz. derneğin denetim komitesi.

Tüm üyelerin iyi analitik düşünceye sahip olması, yöneticilerden bağımsız olması ve komitenin şirketin kurumsal yönetim yapısındaki önemli rolünü anlaması gerekir.

Denetim komitesi başkanı, denetim kurulu üyeleri arasından denetim kurulu tarafından seçilir. Derneğin denetim kurulu, denetim kurulu başkanı olarak aynı zamanda denetim kurulu başkanı olamayacak bağımsız bir denetim kurulu üyesini seçmelidir. Komite başkanı objektif olmalı ve komite üyeleri, direktörler ve iç ve dış denetçiler arasında etkili çalışma ilişkileri geliştirebilmelidir. Komitede objektiflik teşvik edilmeli ve sağlıklı tartışma ortamı oluşturulmalıdır.

4. Oturumlar/toplantılar

Denetim komitesinin görevlerini etkin bir şekilde yerine getirebilmesi için periyodik olarak oturum/toplantılar yapması gerekmektedir. Denetim komitesi başkanı oturumların/toplantıların sıklığını ve süresini diğer üyelerle istişarede bulunarak belirlemelidir. Komitenin etkin işleyişi için gerekli sayıda oturum/toplantı yapılacaktır. Ancak yılda en az iki oturum/toplantı yapılması gerekmektedir. Denetim komitesi kural olarak oturumlarını/toplantılarını mali raporlama ve denetim döngüsüne uygun hale getirir. Ancak komitenin görevleri başka görevleri de içerdiğinden (risk yönetimi, iç kontrol konuları vb.), komite üyelerinin bu önemli konuları tartışmak için yeterli zamana sahip olduğu ek özel oturum/toplantılar yapılması tavsiye edilir.

Normalde bu oturumlara/toplantılara yalnızca denetim komitesi üyelerinin katılmasına izin verilir, ancak genellikle iç denetim, denetim komitesi oturumlarına/toplantılarına katılır. Mali tabloların hazırlanmasından yöneticiler sorumlu olduğundan, şirketin mali uzmanlarının, komite üyelerinin kendi yetki alanları dahilindeki konularla ilgilenecekleri bazı oturumlara/toplantılara tam olarak katılmaları bir

gelenek olmalıdır. Ancak üye olmayanların herhangi bir oturuma/toplantıya davet edilip edilmeyeceğine yalnızca Denetim Komitesinin karar vermesi önemle tavsiye edilir.

Denetim komitesi üyeleri iç ve dış denetimler için ayrı ayrı toplanmalıdır. Bu, komitenin görevlerini etkin bir şekilde yerine getirebilmesi için gerekli olan şirketin mali ve ticari durumu hakkında tam olarak bilgi sahibi olması için gereklidir.

5. Kaynaklar

En iyi uygulama, denetim komitesine görevlerini yerine getirebilmesi için gerekli uygun kaynakların sağlanmasını gerektirir. Komite üyelerinin, görevlerini yerine getirebilmeleri ve hedeflerine ulaşabilmeleri için ihtiyaç duydukları şirket içi her türlü bilgi ve belgeye sınırsız erişime sahip olmaları gerekmektedir. Denetim komitesi üyeleri, direktörlere, iç denetime ve risk yönetimi işlevlerine her zaman tam erişime sahip olmalıdır.

Şirket ayrıca komiteye idari destek sağlamalıdır - bunun için denetim kurulunun bir kurumsal sekreter ataması önemlidir. Kurumsal sekreterin temel görevleri şunlardır: denetim komitesinin gerekli tüm bilgileri almasını sağlamak Şirket yöneticileri ve çalışanları arasındaki iletişim sürecini koordine etmek için zamanında ve belgeler.

Denetim Kurulu, ihtiyaç duyulması halinde hukuki, mali, muhasebe ve diğer tavsiyeleri alabilmesi için Denetim Komitesine mali fonlar (fonlar) sağlamalıdır. Denetim komitesinin, denetim kuruluyla mutabakata vararak, kişisel olarak dışarıdan bir danışman tutma hakkına sahip olması şiddetle tavsiye edilir.